

ნესტან კუტივაძე
(საქართველო)

ქართული მემარცხენე მწერლობის ფორმირების ევროპეისტული ასპექტები

საბჭოთა პერიოდში ქართული ლიტერატურის მეცნიერული შესწავლა უმეტესად იდეოლოგიური თვალსაზრისით მოხდა, რამაც არაერთი მცდარი მოსაზრების დამკვიდრება გამოიწვია და წინასწარ განსაზღვრული მიდგომით წარმართა საზოგადოებრივ-კულტურული პროცესებისა თუ ცალკეულ ავტორთა შემოქმედების კვლევა. ამ მხრივ, გამონაკლისი არ ყოფილა ხალხოსნური მწერლობა, რომელიც რუსული ნაროდნიკობის ნიაღში წარმოშობილ მიმართულებად იქნა მიჩნეული.

ეროვნული მწერლობის შესახებ გავრცელებული ტენდენციური შეხედულებების გადაფასებასა და იდეოლოგიური კლიშეებისაგან გათავისუფლებაში დიდი წვლილი შეაქვს შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტს, კომპარატივისტული ლიტერატურის ქართულ ასოციაციას, რომლის მიერ განხორციელებული სამეცნიერო პროექტები და სხვადასხვა ტიპის პუბლიკაციები ხელს უწყობს თანამედროვე თეორიულ კვლევებზე დაყრდნობით, საერთაშორისო კულტურულ პროცესებთან კავშირში იქნას გაანალიზებული ქართული ლიტერატურა. ამ თვალსაზრისით, უაღრესად მნიშვნელოვანია ავტორთა ჯგუფის მიერ ახლახან გამოცემული ორტომეული – „მემარცხენე მწერლობის ფორმირება საქართველოში (მე-19–მე-20 საუკუნეების მიჯნაზე)“, თბილისი, გამომცემლობა „მნიგნობარი“, 2022. გამოცემა მოიცავს როგორც ორიგინალურ ნაშრომებს (I ტომი), ისე ქრესტომათიულ ნაწილის (II ტომი) და ახლებურად წარმოაჩენს ქართული მემარცხენე მწერლობის არსს, მის მსოფლმხედველობრივ და კულტურულ-ესთეტიკურ მახასიათებლებს.

XIX საუკუნის მეორე ნახევრის ცნობილ მოღვაწეთა დაუღალავი ბრძოლა ილია ჭავჭავაძის მეთაურობით მთლიანად იყო მიმართული რუსეთის მიერ ეროვნულ-სახელმწიფოებრივი იდენტობის წაშლის წინააღმდეგ და ეროვნული იდეალის აღდგენას ისახავდა მიზნად, ამასთან, მოიცავდა პიროვნული და სოციალური თავისუფლების იდეის კულტივირებას, სამოქალაქო ცხოვრების განსხვავებული წესის დამკვიდრებას. ცნობილია, რომ 1860-1870-იან წლების რეფორმების შედეგად მკაფოდ გამოჩნდა კოლონიურ მდგომარეობაში მყოფი საქართველოს წინაშე მდგარი ეკონომიკური, სარწმუნოებრივი და ეროვნული საფრთხეები, რამაც კიდევ უფრო გაამწვავა XIX საუკუნის ბოლო მე-სამედში მიმდინარე ისტორიულ-საზოგადოებრივი და კულტურული

პროცესები, რომლებმაც განაპირობეს სამოღვაწეო ასპარეზზე ქართველი ხალხოსნების გამოსვლა, რითაც სათავე დაედო ქართულ მემარცხენე მწერლობასაც. წინამდებარე გამოცემაში შესული თითოეული ნაშრომი მიზნად ისახავს, გაანალიზოს ქართული მემარცხენე მწერლობის უმთავრესი კონცეპტები, მისი პოლიტიკურ-ფილოსოფიური წინამძღვრები თუ წარმოშობის თავისებურებები.

თამარ ციციშვილის წერილში – „ქართული ხალხოსნური მწერლობა და XIX საუკუნის მეორე ნახევრის კრიტიკული აზრი“ გამოკვეთილია ქართველ ხალხოსანთა და რუს ნაროდნიკებს შორის არსებული სხვაობა, წარმოჩენილია თერგდალეულებისა და ხალხოსნების მსოფლმხედველობრივი ურთიერთმიმართების ასპექტები, ყურადღება ეთმობა ჟურნალ „იმედს“, მის სარედაქციო პოლიტიკასა და პუბლიკაციებს, რომლებიც კარგად აირეკლავს მაშინდელ საზოგადოებაში არსებულ წინააღმდეგობებსა და განსხვავებულ შეხედულებებს, გაანალიზებულია ნიკო ნიკოლაძის, სერგეი მესხის, გიორგი წერეთლის მოსაზრებები, განხილულია გიორგი ზდანოვიჩის (მაიაშვილის), გიორგი ლასხიშვილისა და ნიკო ხიზანიშვილს მნიშვნელოვანი წერილები, რომლებშიც მსჯელობდნენ მეცნიერებისა და განათლების როლზე, ეროვნული და სოციალური ინტერესების თანხვედრაზე, მიმოიხილავდნენ ევროპაში მიმდინარე პროცესებს. მკვლევარი ქართველ ხალხოსანთა შეფასებისას იშველიებს ცნობილ მოღვაწეთა – არჩილ ჯორჯაძისა და ვახტანგ კოტეტიშვილის შეხედულებებს, ასევე, ბოლო პერიოდის მეცნიერულ კვლევებს, რათა უფრო სრულყოფილად წარმოაჩინოს ქართველ ხალხოსანთა მოღვაწეობის არსი და მისი რეფლექსია ქართულ კრიტიკაში.

XVIII-XIX საუკუნეების ევროპის ისტორიული კონტექსტის, აბსოლუტიზმის ეპოქის დასრულებისა და „მოქალაქეობის ხანის“ დადგომის, რუსეთში ამ მოვლენათა გამოძახილის, ეროვნული იდენტობის საკითხების შესახებ მსჯელობისა და თვითრეფლექსიის თავისებურებების ჭრილშია გაანალიზებული ნიკო ნიკოლაძის მსოფლმხედველობრივი მრწამსი სოლომონ ტაბუცაძის წერილში – „რადიკალური მემარცხენეობიდან ცენტრისტულ ლიბერალიზმამდე – ნიკო ნიკოლაძე“. ხაზგასმულია ცნობილი საზოგადო მოღვაწის, პუბლიცისტისა და პოლიტიკოსის, რომელიც კარგად იცნობდა ჩერნიშევსკის, დობროლუბოვის, სენ-სიმონის, ფურიეს, პრუდონის, მარქსისა და სხვ. იდეებს, როლი ისეთი საკითხების აქტუალიზებაში, როგორებიცაა: გენდერული თანასწორობისა და ქალთა ემანსიპაციის პრობლემა, შრომასა და ცოდნაზე დაფუძნებული საზოგადოების ზნეობრივი განვითარება, ხალხის მომზადება სხვადასხვა სოციალური თუ ეკონომიკური თეორიის გასააზრებლად. ეს ყოველივე კი სოლომონ ტაბუცაძის მართებული შეფასებით ნიკო ნიკოლაძეს „ახა-

ლი ქართული ლიბერალური დისკურსის დამამკვიდრებლად“ (გვ. 123) წარმოაჩენს.

საგულისხმოა, რომ წიგნში ცალკე წერილი ეთმობა (ირინე მოდებაძე – „მემარცხენე მწერლობა მე-19 საუკუნის რუსეთის იმპერიაში“) რუსული მემარცხენეობის იდეურ-ესთეტიკური საფუძვლების, 1861 წლის რეფორმის შემდგომ პერიოდში კონსერვატორული, ლიბერალური და რევოლუციური მიმართულებების განვითარების, ასევე, ნაროდნიკული მოძრაობის ანალიზს. ყურადღებაა გამახვილებული ჩერნიშევსკისა და ნიკო ნიკოლაძის თანამშრომლობის საკითხებზე, გამოკვეთილია ეროვნული თვითმყოფადობის იდეაზე დაფუძნებული მიდგომაც. მართებულადაა აქცენტირებული, რომ ეს უკანასკნელი ქართული საზოგადოების ინტერესს ბუნებრივად ინვესტა. წერილში ხაზგასმულია, ასევე, რომ XIX საუკუნის მეორე ნახევრის რუსული კულტურის, ლიტერატურული პროცესის შეფასება საბჭოთა ისტორიოგრაფიის, მარქსისტული ლიტერატურათმცოდნეობის მიერ შემუშავებული კრიტიკიუმებით მოხდა, რამაც არაერთი მცდარი შეხედულების გავრცელება განაპირობა. ნაშრომი ამ წინააღმდეგობებსაც კარგად აჩვენებს და იდეოლიგიზებული მიდგომებისაგან თავისუფალ ანალიზს გვთავაზობს.

საგანგებოდ უნდა გამოიყოს ირმა რატიანის წერილი – „მემარცხენე მწერლობის ფორმირება საქართველოში. ინერცია თუ საჭიროება?“ სტატიაში ყურადღებაა გამახვილებული სოციალურად მრავალფეროვან საზოგადოებაში მხატვრული ლიტერატურის ამოცანებზე, ასევე, ქართულ კრიტიკულ რეალიზმში გამოკვეთილ იმ ტენდენციებზე, რომლებიც დასავლეთევროპული ლიტერატურისათვის დამახასიათებელ კონცეპტებსაც მოიცავდა და ეროვნული საკითხებთან ერთად წამოჭრიდა სოციალურ თემებსაც, რაც კიდევ უფრო მნიშვნელოვანი აღმოჩნდა XIX საუკუნის 70-80-იან წლებში ასპარეზზე გამოსული ქართველი ხალხოსნებისათვის.

აღსანიშნავია, რომ ირმა რატიანი არ იზიარებს გავრცელებულ მოსაზრებას ქართული ხალხოსნობის პრორუსული წარმომავლობის შესახებ და დასძენს, რომ „...მიუხედავად დასახელების და გარკვეული შემოქმედებითი პრინციპების სიმილარობისა ანალოგიურ ლიტერატურულ სკოლასთან რუსეთში, ქართული ხალხოსნური მწერლობა უფრო პრო-ქართული/პრო-დასავლური იყო თავისი ამოცანებითა და მიზანდასახულობებით, ვიდრე – პრო-რუსული“ (გვ. 182). ამ შეხედულების დასასაბუთებლად მართებულადაა აქცენტირებული, რომ ქართველი ხალხოსნები ქვეყნის განვითარებას ხედავდნენ არა, რუსეთის მსგავსად, ბურჟუაზიის წინააღმდეგ ბრძოლაში, არამედ განათლების დონისა და მოქალაქეობრივი ცნობიერების ამაღლებაში, ხაზგასმულია ისიც, რომ ქართველი

ხალხოსნები, ამ თვალსაზრისით, თერგდალეულთა არაერთ შეხედულებას იზიარებდნენ. ირმა რატიანი მართებულად მიიჩნევს, რომ ქართველ ხალხოსანთა თხზულებებში გამოვლენილი ტენდენცია მკითხველში საპასუხო ემოციების (იმედის, თანაგრძნობა, პიროვნების პატივისცემა...) გამოწვევისა, პირველ რიგში, მათ ანათესავენს ლიბერალიზმის პროდასავლურ მოდელთან, რასაც მეცნიერი მიჰყავს იმ დასკვნამდე, რომ საქართველოში მემარცხენე სულისკვეთების მატარებელი ხალხოსნური მწერლობის ფორმირება მოხდა ქართული ლიტერატურული პროცესისა და დასავლური ლიბერალური ღირებულებების საფუძველზე.

მრავლისმეტყველია, რომ ხალხოსანთა შემოქმედების კვლევის კონტექსტის ევროპულ ლიტერატურულ ჭრილში გადატანამ არა მხოლოდ უფრო სიღრმისეულად წარმოაჩინა მემარცხენე მწერლობის ფორმირების ხასიათი და მისი სიახლოვე ამ პერიოდის ევროპულ სააზროვნო სივრცესთან, არამედ შესაძლებელი გახდა ახლებურად იქნას შეფასებული მემარცხენე მწერლობის როლი ეროვნული კულტურის განვითარებაში.

ნიშანდობლივია, რომ წიგნში ზოგადი მიმოხილვების პარალელურად მოცემულია კონკრეტული ლიტერატურული ტექსტების ანალიზი, რაც კიდევ უფრო თვალნათლივ წარმოაჩენს სოციალურ ფაქტორთა ზემოქმედებას მხატვრულ რეპრეზენტირებაზე. ამ მხრივ, საგულისხმოა გაგა ლომიძის, მარიამ გიორგაშვილისა და ირაკლი ხვედელიძის წერილები.

გაგა ლომიძის წერილში – „ქართული მწერლობა სოციალურ-პოლიტიკური პარადიგმების ცვლილებების გზაჯვარედინზე („ქრისტიანე“, „პირველი ნაბიჯი“)“ ეგნატე ნინოშვილისა და გიორგი წერეთლის ცნობილი ტექსტების მიხედვითაა ნაჩვენები საზოგადოებაში მიმდინარე ძვრების პროექცია ადამიანზე. სტატიის ავტორი ამ ნაწარმოებებს მხატვრულ-ესთეტიკური თვალსაზრისით განიხილავს და არაერთ საყურადღებო მოსაზრებას ავითარებს, მაგალითად, „ქრისტიანეში“ მოდერნისტული პროზისათვის დამახასიათებელი ერთ-ერთი ტენდენციის თუნდაც სუსტად გამოვლენის შესახებ.

ვლადიმერ პროპისა და სიუზენ ფეინერის შრომებზე დაყრდნობით, ქრისტიანეს თავგადასავალი წარმოდგენილია, როგორც „ერთგვარი ინიციაცია – შეუცნობლობიდან შემეცნებამდე“ (გვ. 199), ნაჩვენებია დიამეტრალური განსხვავება პატრიარქალურ მორალს, „სირცხვილის კულტურით“ ნაკვებ ყოფის წესსა და საბაზრო ეკონომიკით განსაზღვრულ ქალაქის მომხმარებლურ საზოგადოებას შორის.

ნიშანდობლივია გიორგი წერეთლის „პირველი ნაბიჯის“ რეცეფციაც. ტექსტი განხილულია რეალისტური რომანის ჭრილში და გამოყოფილია უმთავრესი მარკერები: ფსიქოლოგიზმი, ტიპურობა, საშუალო ფენის წარმომადგენელი მთავარი პერსონაჟები, კრიმინალური ამბავი

და სხვ. ტექსტი, ასევე, განხილულია როგორც პოლიფონიური რომანი, რომლის პერსონაჟები გამოირჩევიან მრავალპლანიანობით (გვ. 221). ხაზგასმულია, რომ ნაწარმოებში მთავარი პერსონაჟები – ბახვა და იერემია – მოცემული არიან როგორც აღმავლობის, ისე დაღმავლობის დინამიკაში, რაც რეალისტური პროზის ერთ-ერთი მახასიათებელია, ხოლო გარემოს ცვლილების შედეგად პერსონაჟთა ხასიათის ცვლილების შესაძლებლობას მეცნიერი არამხოლოდ რეალიზმის ესთეტიკით ხსნის, არამედ ავტორის პოლიტიკური ინტერესების გამოხატულებადაც მიიჩნევს.

მარიამ გიორგაშვილის წერილში – „მემარცხენე მწერლობის ტენდენციები მე-19 საუკუნის ქართულ საბავშვო მწერლობში (ეკატერინე გაბაშვილის რამდენიმე მოთხრობის მაგალითზე)“ გაანალიზებულია ქართული საბავშვო ლიტერატურის გენეზისი, მისი თავისებურებები, XIX საუკუნის 80-იანი წლებიდან გამომავალი საბავშვო ჟურნალების – „ჯეჯილი“, „ნობათი“, „ნაკადული“ – საგანმანათლებლო, სოციალური და კულტურული ფუნქციები; აქცენტირებულია XIX საუკუნის ქართულ საბავშვო (მათ შორის ეკ. გაბაშვილის) თხზულებებში მძიმე სოციალურ პრობლემატიკასთან, უსამართლობასა და უთანასწორობასთან დაკავშირებული თემატიკა, დრამატული სიუჟეტები, რაც ქართული ხალხოსნური ლიტერატურის მიერ შექმნილი კონტექსტითაა ახსნილი; ხაზგასმულია ერთი საგულისხმო დეტალიც – მსოფლიო ლიტერატურის მსგავსად, ქართულ მწერლობაშიც საბავშვო ლიტერატურა უკავშირდება ქალ ავტორებს, რომლებმაც XIX საუკუნეში უცხოეთში გავრცელებული ფემინისტური მოძრაობის კვალდაკვალ საქართველოშიც აქტიურად მიჰყვეს ხელი საგამომცემლო თუ საზოგადოებრივ-საგანმანათლებლო საქმიანობას.

სტატიაში შეჯამების სახით ნათქვამია, რომ XIX საუკუნეში ქართული რეალიზმის ნიაღში იშვა საბავშვო მწერლობაც, რომელიც ეყრდნობა ლიბერალურ, ჰუმანურ ღირებულებებს, ასახავს ეროვნულ თუ სოციალურ პრობლემატიკას, ამასთან, ავლენს ევროპული საბავშვო ლიტერატურისთვის დამახასიათებელ ტენდენციებსაც.

ირაკლი ხვედელიძე წერილში – „მემარცხენეობის ღირებულებათა ადგილი ეპიზოდური მეხსიერების სტრუქტურაში: ჭოლა ლომთათიძის ციხის ნარატივი“ აკიმოტოს, ანდერსენისა და ჰამბერმასის თეორიულ ნაშრომებზე დაყრდნობით, ჟენეტის ამბის კონცეპტისა და ეპიზოდური მეხსიერების ჭრილში აანალიზებს ჭოლა ლომთათიძის თხზულების – „საპყრობილეში“ პირველ თავს. ლეჟონის განმარტების შესაბამისად, „საპყრობილეში“ ფაქტუალურ ტექსტადაა მიჩნეული, რადგან შესაძლებელია ავტორის, როგორც ისტორიული პირისა, და მოთხრობელის გაიგი-

ვება, მით უფრო, რომ, როგორც ცნობილია, მწერლის მიერ შექმნილი ტექსტების დაწერის დრო, მასში გადმოცემული შინაარსის გათვალისწინებით, თანხვედბა მისსავე ბიოგრაფიულ მონაცემებს.

სტატიაში აქცენტირებულია ავტობიოგრაფიულ ნარატივში მთხრობელი ავტოგრაფის მიერ ტრამვული გამოცდილების დაძლევის ხარისხი, დადგენილია, რომ „განსახოვნებული ამბავი, უმეტესწილად, მთხრობელი ავტობიოგრაფის მიერ ტრამვული გამოცდილების დაძლევას ადასტურებს, რის გამოც ის ავტობიოგრაფიულ ტექსტად უნდა კლასიფიცირდეს და არა – მოწმობად“ (გვ. 288).

საყურადღებოა 1-ელი ტომისათვის დართული გერმანელი ავტორის ერიკ ფონ კიულენტ-ლედინის ნაშრომი (მთარგმნელი ლუიზა ბოკუჩავა). პუბლიკაცია შეეხება „მემარცხენეობისა“ და „მემარჯვენეობის“ დეფინიციებს, მათი გააზრების სირთულეს, ასევე, მემარცხენეობის ისტორიულ საფუძვლებს, არასწორი აღქმების შედეგად წარმოშობილ წინააღმდეგობებს და სხვა მნიშვნელოვან თემებს. დანართი შემდგომი კვლევის გაფართოების კარგ თეორიულ საფუძველს ქმნის, რაც უთუოდ მისასალმებელია.

„მემარცხენე მწერლობის...“ მეორე ტომი მთლიანად ეთმობა გიორგი წერეთლის, სერგეი მესხის, ნიკო ნიკოლაძის, მიხეილ ჯავახიშვილის, არჩილ ჯორჯაძისა და გერონტი ქიქოძის წერილებს, რომლებიც ნათლად ადასტურებს ქართველ პუბლიცისტთა და მწერალთა აზროვნების სიღრმესა და მასშტაბებს, ცხადყოფს ევროპული კულტურული პროცესების არსში წვდომას.

ორივე ტომი მკაფიოდ აჩვენებს, რომ ქართული მემარცხენე მწერლობა ევროპული ღირებულებებით ნასაზრდოები მოვლენაა და არა რუსული ნაროდნიკული მოძრაობის გავლენით შექმნილი მიმდინარეობა, ხოლო ის ფაქტი, რომ პრობლემა შესწავლილია როგორც ევროპულ, ისე რუსეთში მიმდინარე საზოგადოებრივ-კულტურულ მოვლენებთან კავშირში, კიდევ უფრო მეტ სანდოობას სძენს ძალზე მნიშვნელოვან კვლევას.

„მემარცხენე მწერლობის ფორმირება საქართველოში (მე-19–მე-20 საუკუნეების მიჯნაზე)“ თანამედროვე მეცნიერული მიდგომებით შექმნილი უაღრესად საჭირო ნიგნია მრავალი ასპექტით. გარდა იმისა, რომ ეს უკანასკნელი დაამკვიდრებს კონცეპტს – მემარცხენე ქართული მწერლობა, ხელს შეუწყობს ქართული მწერლობის ამ ერთ-ერთი ყველაზე მრავალშრიანი პერიოდის გადააზრებას, მის სრულფასოვნად ჩართვას მსოფლიო ლიტერატურულ პროცესში, რაც აქტუალურიცაა და საშურიც. ამასთან, ორტომეული გამოადგებათ სტუდენტებს, ლიტერატურათმცოდნეებს, ზოგადად, ამ პერიოდის საზოგადოებრივ-კულტურული ვითარებით დაინტერესებულ მკვლევრებსა თუ ფართო მკითხველს.

Nestan Kutivadze
(Georgia)

European Aspects of Shaping of the Georgian Leftist Literature

Summary

Key words: leftist writing, liberalism, artistic representation, critical discourse.

Today, no one disputes that during the Soviet period the scientific study of Georgian literature mostly took place from an ideological point of view which led to the establishment of a number of erroneous opinions, and the research of social-cultural processes and creativity of individual authors was conducted with a predetermined approach.

Shota Rustaveli Institute of Georgian Literature, Georgian Comparative Literature Association greatly contribute to the re-evaluation of popular views concerning national writing and liberation from ideological clichés. From this point of view, the two-volume book recently published by the group of authors – “Shaping of the Georgian Leftist Literature (19th and 20th centuries)”, Tbilisi, publishing house “Mtsignobari”, 2022 is extremely important. It consists of both original works (Volume I) and the chrestomathic part (Volume II) and presents the essence of the Georgian leftist literature, its worldview and cultural-aesthetic characteristics in a new way, and clearly shows that the Georgian leftist literature is a phenomenon nourished by European values and is not influenced by the Russian narodnik movement. The fact that the problem is studied both in connection with European and Russian social-cultural events adds even more credibility to the research.

“Shaping of the Georgian Leftist Literature (19th and 20th centuries)” created with modern scientific approaches is a very necessary book in terms of multiple aspects. In addition to the fact that the latter will establish the concept of the Georgian leftist literature, it will also contribute to the rethinking of one of the most multi-layered periods of Georgian literature, its full inclusion in the world literary process, which is both relevant and urgent.